

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი



„მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები

(45200000)

ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. ახალქალაქი

2014 წ.

1. ტექნიკური დოკუმენტაცია და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) შემდეგი ტექნიკური დოკუმენტაცია:

- ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები **დანართი №1-ის** მიხედვით;
- ბ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული **სატენდერო წინადადების ფასი დანართი #2-ის** და ხარჯთაღრიცხვების მიხედვით;
- გ) სამუშაოს შესრულების **გეგმა-გრაფიკი, დანართი №3-ის** მიხედვით;

2. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

2.2 საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ტენდერისათვის სტატუსის – „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ტენდერისათვის სტატუსის – „წინადადების მიღება დაწყებულია“ ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს **ოცდაათი დღისა**. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენებით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების შემთხვევაში სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.3 არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან, რომელიც ნათარგმნი უნდა იყოს ქართულ ენაზე და სათანადო წესით დამოწმებული ან ლეგალიზებული;

3. სამუშაოების შესრულების ვადა

ა) სამუშაოს შესრულება ხორციელდება ხელშეკრულების **გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში, 2014წლის —————დან 2014წლის —————მდე.**

ბ) მიმწოდებელმა ყოველთვიურად უნდა წარადგინოს შესრულებული სამუშაოთა აქტი.

4. ანგარიშსწორების პირობები

ა) სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

ბ) ანგარიშსწორება მოხდება უნაძლო ანგარიშსწორებით ლარში.

გ) მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2-ის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

დ) მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ავანსად გადასარიცხი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ს. აღნიშნული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადას;

5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის **0, 3 %-ის** ოდენობით, ან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **5%-ის** ოდენობით შემსყიდველის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **5 %-ს**, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

გ) პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. სატენდერო წინადადების ფასი :

ა) სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილ უნდა იყოს დანართი #2-ის მიხედვით;

ბ) ფასებში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

7. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა

ა) შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა არის 2 (ორი) წელი ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

გ) მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

ა) ახალქალაქის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – შემსყიდველი) მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: „**მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები**“, საერთო ღირებულებით – **112120 ლარი**.

ბ) შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

სოფელი დილისკის საბავშვო ბაღის დობის მშენებლობა - მაკსიმალური ღირებულება - 4880 ლარი,

სოფელი კულიკამის გზების კეთილმოწყობა და რემონტი(სოფ. კულიკამის წყალგამშვების დაკეთება (236 გ.მ)) - მაკსიმალური ღირებულება - 23400ლარი,

სოფელი აფნიის სარიტუალო შენობის რეაბილიტაცია (გადასახურავი სამუშაოები) - მაკსიმალური ღირებულება - 11700ლარი,

სოფელი ტრკნას სარიტუალო სახლის რეაბილიტაცია (გადასახურავი სამუშაოები) - მაკსიმალური ღირებულება - 11700ლარი,

საკრებულოს შენობის საქვების მშენებლობა და ქვების მონტაჟი - მაკსიმალური ღირებულება - 11440ლარი,

სოფელი კარწახის საბავშვო ბაღის ნაწილობრივი მშენებლობა მაკსიმალური ღირებულება - 49000ლარი,

გ) სამუშაოებისათვის სააჭირო ყველა მასალა უნდა იყოს ახალი მაღალი ხარისხის, სტანდარტებთან შესაბამისი, განმარტებით ბარათს იხილეთ თანდართულ პროექტში (**დანართი № 4**).

დ) გამოსაყენებელი მასალის მახასიათებლები: - სამუშაოს შესრულებისას ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს ახალი, მაღალხარისხიანი და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს;

ე) ნორმატიული დოკუმენტაცია:

- მშენებლობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სტანდარტების მიხედვით; - სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის #1-1/1463 ბრძანებით, კერძოდ სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების ზღვრული ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 10%-ით და გეგმიური მოგება არაუმეტეს 8 %-ით.

9. დამატებითი ინფორმაცია:

ა) სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქ. # 11. საკონტაქტო პირი: აშოტ ისპირიან. ტელ: +995 595 566195

10. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. ახალქალაქი

„-----“ ----- 2014 წ.

ერთის მხრივ **ახალქალაქის მუნიციპალიტეტის**, წარმოდგენილი **ედუარდ ადასარიანის სახით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელი**, (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ _____, წარმოდგენილი **დირექტორის ----- სახით**, (მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები) (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის. იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა (CPV - 45200000) „**მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები**“ შესყიდვის ელექტრონული ტენდერი (SPA--), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო

ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოები შემდეგ თანხაზე: ----- (-----
----) ლარი.

(შემდგომში “ხელშეკრულების ღირებულება”).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომ – `ხელშეკრულება`) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომ `შემსყიდველი`) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 `მიმწოდებელი` ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 `დღე`, `კვირა`, `თვე` ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები“ (ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი დილისკის საბავშვო ბაღის ობიექტის მშენებლობა, სოფელი კულიკამის გზების კეთილმოწყობა და რემონტი(სოფ. კულიკამის წყალგამწვების დაკეთება (236 გ.მ)), სოფელი აფნიის სარიტუალო შენობის რეაბილიტაცია (გადასახურავი სამუშაოები), სოფელი ტრკნის სარიტუალო სახლის რეაბილიტაცია (გადასახურავი სამუშაოები), საკრებულოს შენობის საქვების მშენებლობა და ქვების მონტაჟი, სოფელი კარწახის საბავშვო ბაღის ნაწილობრივი მშენებლობა) სამუშაოების შესყიდვა;

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ პირობებში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოებო უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების და წუნდების მიზეზების მითითებით;

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.4. მიმწოდებელმა სამუშაოს შესრულებისას ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის კონტროლი;

5.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

6. სამუშაოს შესრულების პირობები

6.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **60 კალენდარული დღის განმავლობაში, 2014წლის — — — — — დან 2014წლის — — — — — მდე.**

6.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6.3 მიმწოდებელმა ყოველთვიურად უნდა წარადგინოს შესრულებული სამუშაოთა აქტი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება ეტაპობრივად.

7.2 შესყიდვის ობიექტზე შესასრულებელი სამუშაოების ეტაპების დასრულებამდე ერთი კვირით ადრე მიმწოდებლის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ინსპექტირების ჯგუფი ახდენს ობიექტისა და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას, გამოვლენილი ხარვეზების დაფიქსირებას და ადგენს ვადას მიმწოდებლის მიერ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც ფორმდება შესაბამისი აქტით.

7.3 შესყიდვის ობიექტის ეტაპების მიღება-ჩაბარება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით შემსყიდველის მიერ შემუშავებული სამუშაოების დამთავრებული ეტაპის შუალედური მიღების აქტის საფუძველზე.

7.5 შესყიდვის ობიექტზე სამუშაოების დასრულებით და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ვადის გასვლის შემდეგ ინსპექტირების ჯგუფი დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობით ობიექტის დამთავრების აქტის გაფორმებით ახდენს შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებას.

8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა არის 2 (ორი) წელი ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ანგარიშსწორება და ვალუტა

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად. რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

9.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

9.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

9.4 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, არა უმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 30%-სა (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადას);

10. ფასები

10.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. მხარეთა უფლება-მოვალეობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია: – სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

15.2 შემსყიდველი ვალდებულია: – უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

15.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

15.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1. თუ მიმწოდებელი:

ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ვადაში;

ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

გ) სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

16.2. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

16.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის **0, 3 %-ის** ოდენობით, ან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **5%-ის** ოდენობით შემსყიდველის გადაწყვეტილების შესაბამისად.

16.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **5 %-ს**, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

16.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

17.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

17.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

18. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

18.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

18.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

18.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

19.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

20. გამოყენებული სამართალი

20.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. ხელშეკრულების ენა

21.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გამამყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

22. შეტყობინება

22.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეკემის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

23. გადასახადები და დაბეგრა

23.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

24.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან **2014 წლის ----** ----
----- ჩათვლით;

24.2. ხელშეკრულება შედგენილია 3(სამი) ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

25. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
<p>ახალქალაქის მუნიციპალიტეტი ქ. ახალქალაქი ჩარენცის ქ. № 11 საიდენტ. კოდი 223366122 სს "პრივატბანკი" ბანკის კოდი: CAVOGE22 ანგარიშის ნომერი: GE66TP0033030020000557 საკრებულოს თავმჯდომარე -</p> <p>_____/ე. აღასარიან/</p>	<p>_____</p> <p>_____</p> <p>საიდენტიფიკაციო კოდი _____</p> <p>_____</p> <p>ბანკის კოდი: _____</p> <p>ანგარიშის ნომერი: _____</p> <p>დირექტორი _____</p> <p>_____/_____</p>

დანართი №1

რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული მისამართი:
- საბანკო რეკვიზიტები:
- ბანკის კოდი:
- ბანკის დასახელება:
- ანგარიშის ნომერი:

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი _____

დანართი №2

სატენდერო წინადადების ფასი

№	სამუშაოს დასახელება	სატენდერო წინადადების ფასი	სამუშაოს შესრულების ვადა
1	<p>„მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები“ <u>სოფელი დილისკის საბავშვო ბაღის ღობის მშენებლობა,</u> <u>სოფელი კულიკამის გზების კეთილმოწყობა და რემონტი(სოფ. კულიკამის წყალგამშვების დაკეთება (236 გ.მ))</u> <u>სოფელი აფნიის სარიტუალო შენობის რეაბილიტაცია (გადასახურავი სამუშაოები)</u> <u>სოფელი ტრკნას სარიტუალო სახლის რეაბილიტაცია (გადასახურავი სამუშაოები)</u> <u>საკრებულოს შენობის საქვების მშენებლობა და ქვების მონტაჟი</u> <u>სოფელი კარწახის საბავშვო ბაღის ნაწილობრივი მშენებლობა)</u></p>		
	სულ		

შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა არის --- (-----) წელი ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან

პრეტენდენტი _____ (ხელის მოწერა და ბეჭედი)